



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №2ბ/584-11

21 მარტი 2010 წელი  
ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე – გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

განმცხადებელი – სს „ბანკი რესპუბლიკა“

მოწინააღმდეგე მხარეები – შპს „დინო 777“, ილარიონ ჭელიძე, ნატო გოგიბერიძე, ელისო ვაშაყმაძე, ბადრი გოგიბერიძე, დიანა სვანაძე

განმცხადებლის მოთხოვნა – შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2010 წლის 22 ნოემბრის №232 გადაწყვეტილების და ამავე საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №232-2 გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/584-11, განმცხადებელი – სს „ბანკი რესპუბლიკა“, მოწინააღმდეგე მხარეები შპს „დინო 777“, ილარიონ ჭელიძე, ნატო გოგიბერიძე, ელისო ვაშაყმაძე, ბადრი გოგიბერიძე, დიანა სვანაძე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივად

გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სს „ბანკი რესპუბლიკის“ მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე წარმოდგენილ განცხადებაში მოწინააღმდეგე მხარეების – შპს „დინოს“ იურიდიულ მისამართად მითითებულია ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 50ა, ხოლო ილარიონ ჭელიძის საცხოვრებელ მისამართებად მითითებულია ქ. ქუთაისი, რუსთაველის 80, ბინა 81, ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 50ა, ხოლო ალტერნატიულ მისამართად ბაღდადი, სოფელი დიმი.

აღნიშნულ მისამართებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი გზავნილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარეებს შპს „დინოს“ და ილარიონ ჭელიძეს არ ჩაბარდათ. ადრესატები ზემოაღნიშნულ მისამართებზე არ იძებნებიან.

სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადაში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილია განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებულ შპს „დინოს“ და ილარიონ ჭელიძეს გზავნილები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის თაობაზე ეცნობოთ საჯარო შეტყობინების საშუალებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო მოპასუხეებს შპს „დინოს“ და ილარიონ ჭელიძეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის თაობაზე ეცნობოთ საჯარო შეტყობინების საშუალებით;
2. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, თქვენ უფლებამოსილი ხართ, სასამართლოს წარუდგინოთ მოსაზრებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა. ხომ არ ხდით სადაოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარის ქმედუნარიანობას?

ბ. იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზეც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხომ არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი?

გ. ხომ არ არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხომ არ ეხება ისეთ საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს?

დ. იყავით თუ არა სათანადო წესით ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან ხომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ მიიღეთ მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში ?

ე. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს?

პასუხი ზემოთ დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები უნდა წარუდგინოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გზავნილის ჩაბარებიდან – პუბლიკაციიდან 2 დღის ვადაში.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის წარუდგენლობისას მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

გ. გიორგიშვილი